



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის საფუძველზე, კანონპროექტის სახით წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დანართი: 8 ფურცელი

გიორგი აბულაძე

თავმჯდომარე,
ააიპ მწვანე კავკასია

ორგანიზაციის მისამართი:
ქ.თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 8ა/11
მობ.: 598677179,
ელ-ფოსტა: greencaucasus1999@gmail.com

კონსტანტინე კანდელაკი

გამგეობის თავმჯდომარე,
ააიპ სამოქალაქო კულტურის
საერთაშორისო ცენტრი
ორგანიზაციის მისამართი:
ქ. თბილისი 0112, ბაქოს ქ. 20ა
მობ.: 599157922,
ელ-ფოსტა: kote@iccc.org.ge

საქართველოს ორგანული კანონი
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების
შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ორგანული კანონის 86¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები:

„6. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო თანამონაწილეობითი დაგეგმვის ფორმით მონაწილეობს კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საპროექტო წინადადების შემუშავებაში.

7. თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის დასაწყებად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფ(ებ)ს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების, გამგეობის/მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოსამსახურეების და პროცესში მონაწილეობის მსურველი მოქალაქეების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფ(ებ)ის შექმნა ხდება საჯარო შეხვედრაზე, რომელზეც მუნიციპალიტეტის გამგეობა იწვევს დაინტერესებულ ფიზიკური და იურიდიული პირებს.

8. თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის საჯარო შეხვედრების თარიღის, დროისა და ადგილის, ასევე, დასაგეგმი ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ან/და საჯაროდ ცხადდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ან/და ქვეყნდება პროაქტიულად, შეხვედრების გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საჯარო შეხვედრებზე დასწრების და მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს. საჯარო შეხვედრების საოქმო ჩანაწერებში აისახება მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები.

9. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო განიხილავს სამუშაო ჯგუფ(ებ)ის მიერ შემუშავებულ საპროექტო წინადადებებს. გადაწყვეტილება პრიორიტეტული საპროექტო წინადადებ(ებ)ის მოწონების თაობაზე ფორმდება საოქმო ჩანაწერით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწონებული საპროექტო წინადადება წარედგინება მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. საპროექტო წინადადება უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებს, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მოქმედ ნორმებსა და წესებს, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას და განაშენიანების რეგულირების გეგმას (არსებობის შემთხვევაში). თანამონაწილეობითი დაგეგმვით შემუშავებული საპროექტო წინადადების საფუძველზე პროექტის მომზადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების დონის შეფასების მიზნით ბოლო პერიოდში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკა ნაკლებად არსებობს. მოსახლეობას მუნიციპალურ ორგანოებთან კომუნიკაციის დეფიციტი აქვს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დანერგილი არ არის თანამონაწილეობითი მექანიზმები. მაგალითად, „მსოფლიო სამართლის პროექტის“ (World Justice Project) 2015 წლის ღია მმართველობის საერთაშორისო ინდექსის კვლევისას საქართველოში გამოკითხულთა 83%-ის შეფასებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია მარტივია. თუმცა, მნიშვნელოვნად დაბალია იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებასთან კონსულტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ეფექტურად ახორციელებენ (32%).

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის მის მუშაობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომელმაც ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის აქტიური ჩაბმა და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი უნდა უზრუნველყოს. ამ მიზნით საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წელს დაემატა 86¹ მუხლი „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“.

ამ მუხლის მიხედვით, გამგებელი/მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, აგრეთვე, სხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. კანონით განსაზღვრული ამ უფლებამოსილებების მიუხედავად, მრჩეველთა საბჭოს საჭიროება და რეალური ფუნქცია ბუნდოვანია მუნიციპალური ორგანოებისათვის, თავად მრჩეველთა საბჭოებიც ვერ ხედავენ სივრცეს თავისი მოქმედებისათვის. საბჭო მხოლოდ კანონის ნორმის შესრულების მიზნით შექმნილ ფორმალურ ორგანოდ რომ არ იქცეს, მან საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ეფექტური კომუნიკატორის, ერთგვარი „ხიდის“ როლის შესრულება უნდა შეძლოს.

ამ ფუნქციის შესასრულებლად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ესაჭიროება მექანიზმები და გამოცდილება, რომელთა მეშვეობითაც აქტიურად ჩაერთვება მუნიციპალიტეტის მუშაობაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ გამგებლის/მერის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი საკითხების განხილვით. მუნიციპალიტეტის მუშაობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციური როლის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება გახდეს თანამონაწილეობითი ურბანული დაგეგმვა, რომლის

პილოტირება საქართველოში 2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე კავკასია“ განახორციელა. მიღებული გამოცდილების ანალიზმა აჩვენა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ამ გზით აქტიურად ერთვება მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქმედით დახმარებას უწევს გამგებელს/მერს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.¹ თავად საპროექტო წინადადების შემუშავება კი ეფექტურად შეიძლება როგორც შემჭიდროებულ ვადებში (1 თვემდე), ასევე დროის უფრო დიდი მონაკვეთის შუალედში.

თანამონაწილეობითი დაგეგმვა (Participatory Planning) ურბანული განვითარების პარადიგმაა, რომელიც გულისხმობს მთელი საზოგადოების ჩართვას ქალაქდაგეგმარების სტრატეგიულ და მმართველობით პროცესებში. მას ასევე განიხილავენ, როგორც ურბანული და რურალური თემების განვითარების დაგეგმვის განუყოფელ ნაწილს.

თანამონაწილეობითი დაგეგმვის მიზანია განვითარების საკითხებში ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებების შეთანხმება, თემში დაპირისპირებებისა და კონფლიქტების პრევენცია.

1940-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომში დაბომბილი ბრიტანული ქალაქების აღდგენისას, დაგეგმვის მიმართ მოსახლეობის ინტერესი დამგეგმარებლებმა გამოიყენეს აღდგენით სამუშაოებში მისი ჩართვის მიზნით. მათ შეიმუშავეს ახალი ტექნიკა „მოქალაქეებთან კომუნიკაციისათვის, საზოგადოების მობილიზების ჩათვლით, საზოგადოებრივი აზრის გასაზომად, გამოფენების მოწყობითა და ახალი ვიზუალური სტრატეგიების ექსპერიმენტირებისათვის“. გარდა ამისა, მათ შექმნეს ფორუმი სხვადასხვა გეგმებისა და პოლიტიკების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისა და აზრის გამოკითხვისათვის.²

თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი გავრცელდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. ეს გამოწვეული იყო მანამდე გამოყენებული „ზემოდან-ქვემოთ“ დაგეგმვის არაეფექტურობით, რომელიც მოსახლეობას თითქმის არ აძლევდა მათი დასახლების განვითარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შანსს, რომ მაცხოვრებელთა საჭიროებები სრულყოფილად ყოფილიყო გათვალისწინებული. დაგეგმვა ხდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების, სამთავრობო უწყებებისა და კერძო სექტორის მიერ, მაგრამ ისინი არ იყვნენ უშუალო მომხმარებლები, ანუ ის ადამიანები, ვინც დასახლებაში ცხოვრობს.

შემდგომში ეს მექანიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელეს განვითარების სააგენტოებმა, როგორცაა მსოფლიო ბანკი, Funacom და Sparc, უშუალოდ იმ ადგილობრივ ხელისუფლებებთან მუშაობისას, რომლებიც მანამდე უგულვებელყოფდნენ მოსახლეობის მონაწილეობის საჭიროებას. დროთა განმავლობაში როგორც ადგილობრივმა, ისე ცენტრალურმა ხელისუფლებებმა გააცნობიერეს დასახლებების დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის სარგებლიანობა. ადამიანებზე ორიენტირებული ეს მიდგომა გამოიყენება დასახლების სივრცითი

¹ მ.აბულაძე, თანამონაწილეობითი დაგეგმვა, „მწვანე კავკასია“, 2016 <http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/?p=1638>

² Cowan, S. E. "Democracy, Technocracy and Publicity: Public Consultation and British Planning, 1939-1951, 2010

განვითარების გეგმების, კეთილმოწყობის პროექტების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესში და არის საერთო-საქალაქო თუ უბნის დონეზე პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი.

დასახლების კეთილმოწყობის პროექტების შემუშავება ცხადია, შესაძლებელია ხელისუფლების მიერ მხოლოდ სპეციალისტების შეხედულებების გათვალისწინებით. საქართველოში ჯერ მხოლოდ ასეთი პრაქტიკაა, რასაც ხშირად მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვება-ხოლმე. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ როდესაც ხელისუფლება მხოლოდ სპეციალისტების მოსაზრებას ეყრდნობა და დაგეგმვისას არ ითვალისწინებს ტერიტორიით მოსარგებლე მოქალაქეთა საჭიროებებს, სურვილებსა და შეხედულებებს, შედეგად, თავად იდეის სიაკვარგის მიუხედავად, მოსახლეობისგან ხშირად ნეგატიურ დამოკიდებულებას იღებს.

თანამონაწილეობითი დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების წარმატებისთვის, ისტორიული უბნების, საზოგადოების კოლექტიურ მემკვიდრეობასთან კავშირში მყოფი შენობებისა და ტერიტორიების რეაბილიტაციისას. ახალი იდეებისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება, ხელისუფლებისაგან დამატებით დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ აუცილებელია საზოგადოების მიერ ინოვაციის მისაღებად.

თანამონაწილეობითი დაგეგმვის დროს გადაწყვეტილების მოძებნა ხდება ერთობლივად, პროცესის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთგაგების მიღწევით. ჩვეულებრივი კონსულტირებისაგან განსხვავებით, როდესაც ხელისუფლება უკვე შემუშავებულ, მზა პროექტს აცნობს მოსახლეობას და ისმენს მოქალაქეთა მოსაზრებებს, თანამონაწილეობითი დაგეგმვა ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთქმედებას მოსახლეობას, ექსპერტებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის პროექტის შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში.

მხოლოდ პროფესიონალების მიერ დაგეგმვასთან შედარებით, თანამონაწილეობით დაგეგმვას შემდეგი უპირატესობები აქვს: მოქალაქეებს, რომლებიც ყოველდღიურად ხედავენ პრობლემას, აქვთ საკუთარი მოსაზრებები და ხედვები, რაც ანალიზის შესაძლებლობებს ამდიდრებს. მათ გამოცდილებას ექსპერტები საკუთარი ცოდნით ავსებენ. ხელისუფლება ისმენს და ითვალისწინებს ყველა მონაწილის აზრს ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ყველაზე ეფექტური და ადეკვატური იქნება მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროცესში მონაწილე მხარეები კარგად იცნობიერებენ პროექტის განხორციელების ვადებს, ბიუჯეტის შესაძლებლობებსა და ტექნიკური შეზღუდვებს; შემუშავებული პროექტ(ებ)ი მისაღებია ფართო საზოგადოებისათვის და ხელი ეწყობა დემოკრატიული მმართველობისა და აქტიური სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნორმატიული ბაზის შექმნა. პროექტით შემოთავაზებული პროცედურებით ჩამოყალიბდება მუნიციპალიტეტის მიერ კეთილმოწყობისა და არქიტექტურული პროექტების შერჩევის ისეთი მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად

გამორიცხავს მუნიციპალური ორგანოების მიერ საზოგადოებასთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებების მიღებას, რასაც შეიძლება მოსახლეობის უკმაყოფილება და ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გაჩენა მოჰყვეს. ამასთანავე, ეს მექანიზმი, საჯაროობისა და მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის ხარჯზე, ქმნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოების მიერ ინფორმირებული მონიტორინგის შესაძლებლობებს და, აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებში კორუფციული რისკების შემცირებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის შესაბამისად, შემოთავაზებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლისათვის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტების დამატება.

მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს თანამონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის გამოყენების არეალს, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ ის უნდა გამოყენებულ იქნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების, ტერიტორიის გამწვანების, გარე განათების უზრუნველყოფის თაობაზე საპროექტო წინადადებების შესამუშავებლად.

მუხლის მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებულია ის ნორმები, რომელთა მიხედვითაც უნდა დაიწყოს თანამონაწილეობითი დაგეგმვისას საპროექტო წინადადების შემუშავება, კერძოდ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და გამგეობის/მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ წინასწარ ისაზღვრება დასაგეგმი ტერიტორია და მისი კეთილმოწყობით შესაძლო დაინტერესების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირების წრე, ხდება მათი მოწვევა საჯარო შეხვედრაზე, რომელზეც იქმნება სამუშაო ჯგუფ(ებ)ი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოსამსახურეებისა და დასაგეგმი ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების მსურველი მოქალაქეებისგან, შედგება შესაბამისი საოქმო ჩანაწერი.

მუხლის მე-8 პუნქტით, თანამონაწილეობითი დაგეგმვის არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია პროცესის საჯაროობა, კერძოდ, შეხვედრის გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც, პროაქტიულად, საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაცია საჯარო შეხვედრის თარიღის, დროის, ადგილისა და დასაგეგმი ტერიტორიის შესახებ. პროცესში მონაწილეობა არ არის შეზღუდული და როგორც საჯარო შეხვედრებში, ასევე სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს.

მუხლის მე-9 პუნქტი არეგულირებს ერთობლივად შემუშავებული საპროექტო წინადადების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს: თანამონაწილეობითი დაგეგმვით შემუშავებული საპროექტო წინადადებებს იხილავს სამოქალაქო

მრჩეველთა საბჭო და შეარჩევს მათ შორის პრიორიტეტულებს, რომლებიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებს, დასახლების ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მოქმედ ნორმებსა და წესებს, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას და განაშენიანების რეგულირების გეგმას (ასეთების არსებობის შემთხვევაში), ასევე, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოზე კეთილმოწყობის პროექტების განხილვა წარმოადგენს ფილტრს, რომლის გავლით მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს უნდა წარუდგინოს მაქსიმალურად ოპტიმიზირებული და მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული საპროექტო წინადადებები. ეს ხდება საჯარო შეხვედრაზე, რომლის მეშვეობით ხდება მოსახლეობის ინფორმირება თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული და მოწონებული საპროექტო წინადადების საფუძველზე პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციისა და საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვის შესამუშავებლად შესაბამისი საპროექტო სამუშაოების განხორციელების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და ამაში იგულისხმება, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ითვალისწინებს მუნიციპალური ბიუჯეტისა და პროექტის განსახორციელებლად დონორების/ინვესტორების მოზიდვის არსებულ შესაძლებლობებს.

პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციისა და საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვის შემუშავების შემდეგ ცნობილი გახდება მისი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ზუსტი მოცულობა, რაც მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს საშუალებას მისცემს, კოდექსის მოქმედი ნორმების შესაბამისად, მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადებით პროექტი შეთანხმებისა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, ან გაითვალისწინოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯები შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ფინანსური ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროპის კავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე კავკასიას“ და „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ მიერ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან ა(ა)იპ „მწვანე კავკასიას“ თავმჯდომარე გიორგი აბულაძე და ა(ა)იპ „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარე კონსტანტინე კანდელაკი.

საკანონმდებლო წინადადების ავტორები:

გიორგი აბულაძე

რეგისტრაციის მისამართი:

ქ.თეთრიწყარო,

გარისის ქუჩა N23

მობ.: 598677179,

ელ-ფოსტა: abuladze1992@gmail.com

კონსტანტინე კანდელაკი

რეგისტრაციის მისამართი:

ქ. თბილისი,

ფანასკერტელის ქ., მე-12 კ., ბ.47

მობ.: 599157922,

ელ-ფოსტა: kote@iccc.org.ge